სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

22/08/2024

MES 8 24 0001003841

"სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ " სტუ-ის რექტორის 2024 წლის 26 ივლისის N913012 ბრძანებაში ცვლილები ს შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნას ცვლილება „სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ" სტუ-ის რექტორის 2024 წლის 26 ივლისის N913012 ბრძანების მე-9 პუნქტში და ჩამოყალიბდეს ასე:

   9. გასაუბრებები საფაკულტეტო დროებით მიმღებ კომისიებთან **ენერგეტიკის და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტებზე** ჩატარდეს **2024 წლის 9 სექტემბერს 10^{00} საათიდან. ყველა დანარჩენ ფაკულტეტზე 2024 წლის 10 სექტემბერს 10^{00} საათიდან.** გასაუბრების შედეგები (საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერი - ჩასარიცხ აპლიკანტთა სია) გამოქვეყნდეს სტუ-ის ვებგვერდზე 2024 წლის 11 სექტემბერს. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 2024 წლის 11 სექტემბრიდან 13 სექტემბრის 14^{00} საათამდე. ჩასარიცხ აპლიკანტთა სიები (აპელაციის გათვალისწინებით) გამოქვეყნდეს სტუ-ის ვებგვერდზე 2024 წლის 13 სექტემბერს;

2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის საქმის წარმოების დეპარტამენტმა;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ

26/07/2024

MES 7 24 0000913012

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში სტუ) წესდების, დოქტორანტურის დებულების და სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 19 ივლისის N01-05-04/115 და 2024 წლის 19 ივლისის N01-05-04/118 დადგენილებების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2024/2025 სასწავლო წელს სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების სწავლების პირველ წელზე;
2. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზ. ბუაჩიძეს;
3. სტუ-ის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს ელექტრონულ პლატფორმაზე - register.gtu.ge ან შესაბამის ფაკულტეტზე 2024 წლის 30 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით (განცხადების ფორმა იხ. დანართში 1, რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია იხ. დანართში 2);
4. ელექტრონულ პლატფორმაზე აპლიკანტის მიერ ატვირთული საბუთების პირველადი შემოწმება დაევალოთ შესაბამისი ფაკულტეტის უფლებამოსილ პირებს (საკონტაქტო პირები ფაკულტეტების მიხედვით იხ. დანართში 3);
5. ფაკულტეტებიდან დოკუმენტაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ვიზირებული განცხადებები არსებული წესის (საქმის წარმოების სისტემის (eflow) მეშვეობით) თანახმად გადაეგზავნოს სტუ-ის საქმის წარმოების დეპარტამენტს;
6. სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესაბამისად გამოცდა უცხო ენაში ჩატარდეს 2024 წლის 6 სექტემბრის 10^{00} საათიდან, სტუ-ის I კორპუსში, საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრში (კომპიუტერული ცენტრი -1, მე-6 სართული, კომპიუტერული ცენტრი - 2, პირველი სართული; კოსტავას ქ. N68).
7. უცხო ენაში გამოცდის პირველადი შედეგები გამოქვეყნდეს 2024 წლის 7 სექტემბერს, საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 2024 წლის 6 სექტემბრიდან 9 სექტემბრის ჩათვლით 14^{00} საათამდე (კვირა დღის გარდა) გამოცდის ჩატარების ადგილზე საბოლოო შედეგები აპელაციის გათვალისწინებით გამოქვეყნდეს 9 სექტემბერს სტუ-ის ვებგვერდზე;
8. სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობისშესაბამისად გასაუბრება უცხო ენაში ჩატარდეს 2024 წლის 6 სექტემბრის 11^{00} საათიდან სტუ-ის ადმინისტრაციულ კორპუსში, კოსტავას ქ.N77 (ცენტრალურ ბიბლიოთეკაში). შედეგები გამოქვეყნდეს სტუ-ს ვებგვერდზე 2024 წლის 7 სექტემბერს;
9. გასაუბრებები საფაკულტეტო დროებით მიმღებ კომისიებთან ჩატარდეს 2024 წლის 10 სექტემბერს 10^{00} საათიდან. გასაუბრების შედეგები (საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერი - ჩასარიცხ აპლიკანტთა სია) გამოქვეყნდეს სტუ-ის

ვებგვერდზე 2024 წლის 11 სექტემბერს. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 2024 წლის 11 სექტემბრიდან 13 სექტემბრის 14^{00} საათამდე. ჩასარიცხ აპლიკანტთა სიები (აპელაციის გათვალისწინებით) გამოქვეყნდეს სტუ-ის ვებგვერდზე 2024 წლის 13 სექტემბერს;

10. საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში (2024 წლის 13 სექტემბერიდან 18 სექტემბრის ჩათვლით (კვირა დღის გარდა) აპლიკანტი ვალდებულია გააფორმოს უნივერსიტეტთან აკადემიური (სასწავლო) და ადმინისტრაციული (საფინანსო) ხელშეკრულებები;
11. სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში საფაკულტეტო დროებითი კომისიების თავმჯდომარეებმა მოხსენებითი ბარათები, საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმი (ოქმები) და აპლიკანტთა ხელშეკრულებები (რაც წარმოადგენს დოქტორანტურაში ჩარიცხვის საფუძველს) უნდა წარმოადგინონ 2024 წლის 19 სექტემბერს;
12. სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა 2024-2025 სასწავლო წლისათვის სტუ-ის სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხად მოამზადოს რექტორის ერთიანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება), არაუგვიანეს 2024 წლის 23 სექტემბრისა;
13. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს თ. წერეთელს;
14. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე;
15. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს საქმის წარმოების დეპარტამენტმა;
16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ